

მასტერკლასი ბიოლოგიაში

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა სკოლების გაძლიერებაა.

რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების სტიმულირებას. სწორედ ამიტომ უნდა წახალისდეს მასწავლებლებს შორის წარმატებული გამოცდილების გაზიარება და პროფესიული დიალოგი.

მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილები მიზნობრივით ერთმანეთისგან განსხვავდება. ამ გაკვეთილებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც არამხოლოდ მოსწავლეების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, არამედ პედაგოგიური თვალსაზრისით ინოვაციურია და კოლეგებისათვის სასარგებლო.

სქემის უპირველესი მიზანი ურთიერთთანამშრომლობის გზით მასწავლებლის პროფესიული განვითარებაა.

სქემის მიხედვით ასევე დადგენილია სამოდელო გაკვეთილის ტიპებიც.

ეს არის:

1. ინტეგრირებული გაკვეთილი;
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
4. ინოვაციური გაკვეთილი.

(მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი მეორე ნაწილი , გვ.13.)

4-საათიანი მასტერკლასი ბიოლოგიაში განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის ბიოლოგიის (წამყვანი, უფროსი და პრაქტიკოსი)

მასწავლებლებისათვის.

მასტერკლასზე წარმოდგენილი და განხილული იქნება ორი ტიპის სამოდელო გაკვეთილი:

1. ინტეგრირებული გაკვეთილი; (მე-7 კლასი ; თემა- **ბიომრავალფეროვნება**)
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი; (მე-10 კლასი; თემა - **გენური ინჟინერიის ეთიკური პრობლემები**)

მასტერკლასის შედეგად:

- მონაწილეები გაეცნობიან ინტეგრირებული თემების / გაკვეთილების დაგეგმვის და ჩატარების პრინციპს.
- გაეცნობიან გაკვეთილზე დაკვირვების ძირითად პრინციპებსა და შეფასების წარმოებას მათ საფუძველზე.

რუსუდან თედორაძე
ბიოლოგიის საგნობრივი კონსულტანტი
სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი“

- გაეცნობიან და პრაქტიკულად განახორციელებენ შეფასების სქემების/რუბრიკებისა და დაკვირვების ოქმების შედგენას;
- იმსჯელებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ძლიერ მხარეებზე, საფრთხეებზე და მათი თავიდან აცილების გზებზე;